# ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

# აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

თბილისი,

2018 წელი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერისტეტი) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს.

2. უნივერსიტეტში აფილირება წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის და პერსონალის მართვის შემადგენელ კომპონენტს, რომელმაც უნდა გაზარდოს აკადემიური პერსონალის მოტივაცია და აქტივობა.

## მუხლი 2. აფილირების წესი და პირობები

1. აფილირება გულისხმობს შეთანხმებას, რომლითაც აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში, კერძოდ:

1.1. აკადემიური თანამდებობის მქონე პირი ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგებს მიუთითებს და ეთვლება ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს;

1.2. აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

1.3. აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის პროცესში.

2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსანტი წინასწარ აცხადებს თანხმობას უნივერისიტეტთან აფილირების შესახებ და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ ხელშეკრულების დადებით კვლავ ადასტურებს მას.

3. აფილირებული პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს უნივერსიტეტს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაძლო აკადემიური/სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის და დატვირთვის ოდენობის შესახებ.

4. აფილირებულმა პირმა მე-3 პუნქტში აღნიშნული საქმიანობა უნდა განახორციელოს მხოლოდ უნივერსიტეტის თანახმობით და ყოველ ჯერზე მიაწოდოს ინფორმაცია დატვირთვების ცვლილების თაობაზე.

5. იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენს აფილირებას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ეს ჩაითვლება ხელშეკრულების არსებითი პირობის დარღვევად და მასთან შეწყდება შრომითი ხელშეკრულება.

6. მე-5 პუნქტის მოთხოვნებიდან გამონაკლისი დაიშვება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან წინასწარ მიღებული თანხმობით.